პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 აპრილი კვირა 1974 ფასი 2. კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 88 (15909)

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პურის ხარისხს — მეუნელეებელი ყურადღება

ამას წინათ გამართული საქალაქო-საარჩევნო პარტიული კრებები და კონფერენციები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო.

პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე მიღებული დადგენილებანი რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ხანგრძლივი პროგრამაა, მოითხოვენ სერიოზულ ყურადღებას, ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას და ანალიზს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად და ყურადღებით იხილავს პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ითვალისწინებს მათ თავის ყოველდღიურ მუშაობაში, თვალყურს ადევნებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მაგალითად, ქალაქ თბილისის ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის რაიონების, ქალაქ რუსთავის, ქალაქ გაგრის, ქობულეთის რაიონისა და მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე მძაფრად გააკრიტიკეს პურის საცხობი მრეწველობის საწარმოთა მუშაობა, გამოთქვეს სამართლიანი საყვედური პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ცუდი ხარისხისა და ღარიბი ასორტიმენტის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმ კრიტიკული შენიშვნების შესახებ, რომლებიც კომუნისტებმა გამოთქვეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე პურის, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის გამო და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, „ცეკავშირის“ გამგეობა და სხვა უწყებები სრულად ვერ იყენებენ პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობებს, დაბალყოფილებლად არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გასული წლის ივლისში მიღებული დადგენილება საბრეწველო პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შესუსტების, სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულებისადმი ზოგიერთი ხელმძღვანელისა და სპეციალისტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად რესპუბლიკის ბევრ საწარმოში არ იცავენ წარმოების დადგენილ ტექნოლოგიას, ცოდად უშუშობს ტექნიკური და লაბორატორიული კონტროლის სამსახური, სისტემატურად არღვევენ სტანდარტებისა და რეცეპტურების მოთხოვნებს. ყოველივე ამის შედეგად იზრდება დაწონილებული პროდუქციის რაოდენობა, რასაც მოწმობენ ასეთი ციფრები: 1971 წელს შემოწმებული პროდუქციიდან დაიწონეს პურ-ფუნთუშეულის 4,1 პროცენტი, 1972 წელს — 5,5 პროცენტი, ხოლო 1973 წელს — 6,3 პროცენტი.

წონის უფრო დიდი პროცენტი აქვთ „ცეკავშირის“ პურის საცხობი მრეწველობის საწარმოებს. ამ 1971 წელს იყო 12,6 პროცენტი წონი, 1972 წელს — 13,2 პროცენტი, ხოლო 1973 წელს — 13,5 პროცენტი. განსაკუთრებით დიდი წონი, რომელიც 62 პროცენტს აღწევს, აქვთ მაიაკოვსკისა და ხობის პურის კომბინატებს, აგრეთვე „ცეკავშირის“ საწარმოებს აჭარაში, ონამირის, მარნეულის, ბარდადაშენ, გორის, საგარეჯოს, გურჯაანისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

პროდუქციის ხარისხის სერიოზული გაუარესების ფაქტები გამოვლინდა სამრეწველო გაერთიანება „საქპურკონდიტერის“ საწარმოებში. თბილისის პურის ქარხნებში შარშან შემოწმების დროს დაიწონეს პროდუქციის 10-52 პროცენტი, ხოლო ხაშურისა და ბორჯომის პურის კომბინატებში — მთელი პროდუქცია. პროდუქციის დამზადების რეცეპტურისა და ტექნოლოგიის უხეში დარღვევები იყო გაფრის კომბინატში და „საქპურკონდიტერის“ ზოგიერთ სხვა საწარმოში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წლითიწლობით პურ-ფუნთუშეულს არასრული და ეროვნულივანი ასორტიმენტით უშვებენ. ზოგჯერ მაღაზიებში ჰყიდიან 1-2 დასახელების პურს, მაშინ როცა საწარმოთა სამძღვარეები მთლიანად არ არის დატვირთული. პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტი ქალაქ თბილისის სპეციალიზებულ მაღაზიებშიც კი მეტად ღარიბია.

პურის, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ცუდი ხარისხი უთუოდ დაკავშირებულია სახალხო დოვლათის დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ მოქმედებასთან. ისინი სისტემატურად არღვევდნენ სახელმწიფო სტანდარტებს, პროდუქციის ხარისხის საზიანოდ ურევდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხარისხის ფქვილს, ქმნიდნენ ნედლეულისა და მასალების „ნამეტს“, სისტემატურად „ასაღებდნენ“ აღიარიცხავ პროდუქციას.

ამასთან ერთად, პურ-ფუნთუშეულის ხარისხზე უარყოფითს გავლენას ახდენს დაბალი პურისაცხობი თვისებების მქონე ფქვილი, რომელსაც რესპუბლიკის დამზადების სამინისტრო აწვდის საწარმოებს. თავის მხრივ პურისაცხობი მრეწველობის საწარმოები სუსტად უწევენ კონტროლს ფქვილის ხარისხს, ფქვილის თვითეული პარტიის მიღებისას არ აკეთებენ საჭირო ანალიზებს და არ აცხობენ საცდელ პროდუქციას, მაშინ როცა ეს საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის გარდაქმნისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმ დროს, როცა რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეებს სრულად ვერ იყენებენ, რესპუბლიკაში კვლავაც ყოველდ გაუმართლებლად ბევრია მრავალრიცხოვანი უწყებებისა და ორგანიზაციების წვრილი კუსტარული სამეწარმეები. როგორც წესი, აქ არ იცავენ ელემენტარულ სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს, უხეშად არღვევენ პურ-ფუნთუშეულის გამოცხობის ტექნოლოგიას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომელთა მიზანია საკვები ქსელის თანაბარზომიერი განაწილება და პარალელიზმის აღმოფხვრა მოსახლეობის მომსახურებაში. ქალაქ თბილისში, მაგალითად, თბილპურეაჭრობის 237 სპეციალიზებულ მაღაზიასთან ერთად პურ-ფუნთუშეულით ვაჭრობს თბილკვებვაჭრობის 53 მაღაზია, თბილგასტრონომის 10 მაღაზია, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოს მაღაზიები. ამასთან ბევრი მაღაზია განლაგებულია მოუხერხებელ სათავსებში, არ არის კეთილმოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს კეთილ კულტურის სათანადო დონეს. საწყობების უქონლობა და მაღაზიების მცირე ფართობი უარყოფითს გავლენას ახდენს პურ-ფუნთუშეულის ხარისხის შენარჩუნებაზე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის მიწოდება საბაჟო ორგანიზაციებსა და საზღვგადამტარი კვების საწარმოებში. ზმირად არღვევენ მიტანის გრაფიკს, რაც აფერხებს პურის ვაჭრობას. შარშან, მაგალითად, ფიესირებულია 4.133 შემთხვევა, როცა თბილისის საბაჟო ქსელში მნიშვნელოვანი დაგვიანებით მიიტანეს პური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები ადგილებს შორის ურთიერთობებში. ზოგჯერ მაღაზიებში ჰყიდიან 1-2 კილოგრამ ფქვილს, მაშინ როცა საწარმოთა სამძღვარეები მთლიანად არ არის დატვირთული. პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტი ქალაქ თბილისის სპეციალიზებულ მაღაზიებშიც კი მეტად ღარიბია.

პურის, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ცუდი ხარისხი უთუოდ დაკავშირებულია სახალხო დოვლათის დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ მოქმედებასთან. ისინი სისტემატურად არღვევდნენ სახელმწიფო სტანდარტებს, პროდუქციის ხარისხის საზიანოდ ურევდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხარისხის ფქვილს, ქმნიდნენ ნედლეულისა და მასალების „ნამეტს“, სისტემატურად „ასაღებდნენ“ აღიარიცხავ პროდუქციას.

ამასთან ერთად, პურ-ფუნთუშეულის ხარისხზე უარყოფითს გავლენას ახდენს დაბალი პურისაცხობი თვისებების მქონე ფქვილი, რომელსაც რესპუბლიკის დამზადების სამინისტრო აწვდის საწარმოებს. თავის მხრივ პურისაცხობი მრეწველობის საწარმოები სუსტად უწევენ კონტროლს ფქვილის ხარისხს, ფქვილის თვითეული პარტიის მიღებისას არ აკეთებენ საჭირო ანალიზებს და არ აცხობენ საცდელ პროდუქციას, მაშინ როცა ეს საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის გარდაქმნისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმ დროს, როცა რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეებს სრულად ვერ იყენებენ, რესპუბლიკაში კვლავაც ყოველდ გაუმართლებლად ბევრია მრავალრიცხოვანი უწყებებისა და ორგანიზაციების წვრილი კუსტარული სამეწარმეები. როგორც წესი, აქ არ იცავენ ელემენტარულ სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს, უხეშად არღვევენ პურ-ფუნთუშეულის გამოცხობის ტექნოლოგიას.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, ყველა ორგანიზაციები, ხელმძღვანელები, კომუნისტებმა, ყველა მუშაკმა, ინჟინერ-ტექნიკურ შეგრეგატებმა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებმა, ინჟინერ-ტექნიკურ ინსტიტუტებმა, ტექნიკუმებმა, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტებმა, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

კომები, რესპუბლიკის პირის საცხობი საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის ამაღლების, ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო მუშაობა პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის გაუჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის და დაავალა საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს, „ცეკავშირის“ გამგეობას, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც აწარმოებენ პურს, პურ-ფუნთუშეულსა და საკონდიტრო ნაწარმს, გაზარდონ საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სახელმწიფო, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტექნოლოგიისა და რეცეპტურის სრულყოფას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუჯობესებას, ასორტიმენტის განახლებასა და გაფართოებას.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საგულდაგულო კონტროლი უნდა დაიწესებდეს ფქვილის ხარისხს, შემუშავდეს და განხორციელდეს მოძველებული ტექნიკისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის, თანამედროვე დიდმწარმოებლური მანქანებით, ნაკაღური ხაზებითა და ავტომატიზებული სისტემებით მათი შეცვლის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს სსრ კომრობის სამინისტროს, „ცეკავშირის“ გამგეობის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მწარმოელთა დეპუტატების სახლრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის საქალაქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ განახორციელონ ხეპირო ღონისძიებანი პურის საცხობ საწარმოთა და სავაჭრო ქსელის ტექნიკური აღჭურვისათვის, გაუჯობესონ ვაჭრობის კულტურა. ქალაქ თბილისში არსებული პურის ქარხნებისა და „თბილპურკომბინატის“ ბაზაზე იქმნება საწარმოო გაერთიანება „თბილპური“. მიღებულია ცნობად, რომ „ეკავშირის“ გამგეობა ახორციელებს ღონისძიებებს წვრილი ფუნრეების გაერთიანებისათვის რაიონულ პურის კომბინატებად.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დაეგალა სისტემატური კონტროლი გაუწიოს ფისქვილსაწარმოთა მუშაობას, არ დაუშვას დაბალი პურსაცხობი თვისებების მქონე ფქვილის მიწოდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პურის საცხობ საწარმოთა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. სრულყონ კადრების პოლიტიკური, ეკონომიური და პროფესიული მომზადების ფორმები და მეთოდები, გაზარდონ კომუნისტების ავანგარდული როლი და პასუხისმგებლობა დაავალებული საქმისათვის, განაგითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, უფრო სრულად გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, რომელსაც მათ სკკპ წესდება ანიჭებს. მათ უფრო ფართოდ უნდა გამალონ დაუნდობელი ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების, პირადი გამდიდრებისადმი მისწრაფებისა და ჩვენი საზოგადოებისათვის უველა სხვა უცხო მოვლენის წინააღმდეგ.

აღნიშნა რა სსრ კავშირის საზსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის ხარისხის ინსპექციისა და სანიტარიული სამსახურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა ამ უწყებათა ხელმძღვანელებს მკვეთრად გააძლიერონ პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხისადმი კონტროლი და მიაღწიონ იმას, რომ სავაჭრო ქსელში არ ხვდებოდეს უხარისხო პროდუქცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაეგალა განიხილოს რესპუბლიკის კავების მრეწველობის სამინისტროსა და „ეკავშირის“ სისტემაში პურისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოების თავმოყრის საკითხი.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო სათანადო ხელმძღვანელობა და დაუშვა ხარისხო პროდუქციის მასობრივად გამოშვების ფაქტები, თანამდებობიდან მოხსნილია „საქპურკონდიტერის“ გაერთიანების მმართველი შ. კულულაშვილი.

„ეკავშირის“ გამგეობას დაეკალა განიხილოს პურის საცხობი მრეწველობის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან რ. სოხაძის დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი, ხოლო პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომს — განიხილოს საკითხი მისი პარტიული პასუხისმგებლობის შესახებ სისტემის პურის საცხობ საწარმოთა მუშაობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის, რის შედეგად უხეშად ირღვევა სახელმწიფო და ტექნოლოგიური დისციპლინა. სისტემატურად უშვებენ უსტანდარტო და უხარისხო პროდუქციას.

მიღებულია ცნობად, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი შ. გუგუშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან ქალაქ თბილისის საავაჭრო ქსელში პურისა და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის მიტანის გრაფიკის სისტემატური დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან მოიხსნა „საქპურკონდიტერის“ გაერთიანების მთავარი ინჟინერი — მმართველის მოადგილე — რ. ოძოაძე, რომელიც უშვებდა ტექნოლოგიური პროცესების უხეშ დარღვევებს, სახელმწიფო სტანდარტების და რეცეპტურების დარღვევებს, არ უზრუნველყოფდა მისადმი დაქვემდებარებული საწარმოების სათანადო ტექნიკურ ხელმძღვანელობას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს დაეკალა განიხილოს საკითხი პირველი მაისის რაიონის პროკურორის მ. ბახშვილისა და რაიონის პროკურატურის სხვა მუშაკების პასუხისმგებლობის შესახებ, რომელებსაც ბრალი მიუძღვით № 1 პურის ქარხანაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის ფაქტის გამოძიების დროს გაჭიანურებასა და სოციალისტური კანონიერების დარღვევაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გააფრთხილა საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამინისტროს და „ეკავშირის“ გამგეობის ხელმძღვანელობა, რომ ძირეულად უნდა გარდაქმნან მუშაობა პურის, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუჯობესებისათვის და მოსთხოვა განაზორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, რესპუბლიკის ამ დიდმნიშვნელოვან საწარმოებში წესრიგის დამყარებისათვის კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების ქმედითი ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

პირველი მიჯნა აღებულია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების შედეგებს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიის მთელი რიგი რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ნ. ჩუტკინმა.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ს. ვაშაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით შესრულება ხელშეშლა პირობებს ქმნის წლიური პროგრამის უთუო რეალიზაციისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი მაჩვენებლებით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მიეცა წინსვლა ზრდა: სამუშაოდ მან შეადგინა 10-12 პროცენტი, მაშინ როცა მარშან ზრდა 6-7 პროცენტს შეადგენდა, თუ ასეთი ტემპი შენარჩუნებული იქნება, კაპიტალდაბანდებათა ათვისების გეგმა წლის განმავლობაში 25-30 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდება. ეს ბევრად გაუჯობესებს მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულების მაჩვენებლებს.

პირველ კვარტალში დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე კაპიტალდაბანდებათა ათვისების გეგმა შესრულდა 97 პროცენტით, ზრდამ 15 პროცენტი შეადგინა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში რეალიზებულია 106 პროცენტით, ზრდა 13 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურია კაპიტალდაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულების მაჩვენებლები საქართველოს მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების ხაზით.

რესპუბლიკაში ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა 111 პროცენტით, მაგრამ მათი მოცულობა შარშანდელზე 5 პროცენტით ნაკლებია. აქ ჩამორჩენა აქვთ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, ვაჭრობის სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკას“, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და სხვ. თათბირზე აღინიშნა, რომ სამშენებლო ორგანიზაციები და შემკვეთები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ობიექტების დროულ ჩაბარებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ კვარტალში ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შეადგენს მხოლოდ წლიური გეგმის ხუთ პროცენტზე ოდნავ მეტს, შესრულების მაჩვენებელი აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

მნიშვნელოვნად გაუჯობესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობა. აქ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 94 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 100 პროცენტით. მაგრამ თათბირზე თქვეს, რომ შეუწყნარებელად ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა საექსპლოატაციოდ გადასაცემი სკოლების მშენებლობაზე. 1 აპრილამდე არ იყო დაწყებული 27 ობიექტის მშენებლობა, რომლებიც წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

დაბალია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების მაჩვენებლები.

საერთო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა და საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა.

კარგი მაჩვენებლებით დამთავრეს პირველი კვარტალი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა. მთლიანად რესპუბლიკაში საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 105 პროცენტით, ზრდამ გასულ წელთან შედარებით შეადგინა 14 პროცენტი. განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ მშენებლობის სამინისტრო, სასოფლო მშენებლობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“, „საქმიდროენერგომშენის“ და „ინემშენის“ ტრესტები, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველო და მთელი რიგი სხვა უწყებები და ორგანიზაციები. ამასთანავე ზოგიერთმა საიჯარო ორგანიზაციამ ართუ ვერ შეასრულა გეგმა, არამედ შეამცირა კიდეც სამუშაოთა ტემპი გასულ წელთან შედარებით. ეს არის კავშირგამშულობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, „საკომბინატი“, აფეთქებით სამუშაოთა მწარმოებელი საკავშირო ტრესტი.

პირველი კვარტალის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, არასახარბიელო მდგომარეობაა მთელ რიგ ისეთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, როგორიცაა ორჯონიკიძის და ლენინის სახელობის შახტები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რუსთავის ქიმიური კომბინატი და მოცულობითი სახლთმშენებლობის ქარხანა, ხაშურის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკა, სურამის მინის ტარის ქარხანა და სხვა ობიექტები.

თათბირზე აგრეთვე ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ დაამთავრეს პირველი კვარტალი რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროებისა და სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა, ამასთან ზრდამ შეადგინა 11 პროცენტი, რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმა კი შესრულებულია 95 პროცენტით, ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 114 პროცენტი. სამინისტროს 36 სამრეწველო საწარმოდან შვიდმა რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულებას დააკლო 1.427 ათასი მანეთი, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას — სამმა საწარმომ 277 ათასი მანეთი. არ შეესრულებიათ როგორც სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის, ისე მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანასა და სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატს.

წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით აარის გამოშვებული ცემენტი, ინერტული მასალები, კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები და ბუნებრივი ქვის ნაკეთობანი. მაგრამ ამასთანავე არ შესრულებულა საკედლე და რბილი სახურავი მასალების წარმოების გეგმები.

წარმატებით დამთავრა პირველი კვარტალი სამრეწველო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარმა სამმართველომ.

თათბირზე კვლავ აღინიშნეს, რომ საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა კონტაქტები განამტკიცონ სამშენებლო ორგანიზაციებთან, ხაზი გაუსვეს, რომ მშენებლობისათვის მხოლოდ ქმედითი დახმარებისა და მათი მუშაობისადმი ყოველდღიური კონტროლის შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს მნიშვნელოვანი წარმატებანი. თათბირზე დადგინდა მაგალითად მოიყვანეს სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობისადმი საქართველოს კომპარტიის თბილისის, რუსთავის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებისა და ბოლნისის რაიკომის დამოკიდებულება.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1, 3, 7, 12 ტრესტების და სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს მმართველები კ. ვ. გაგნიძაშვილი, ვ. ტ. გოგოლაძე, ო. ვ. კიკნაძე, კ. ნ. სოზიაშვილი, ა. ზ. ჯაფარიძე, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორი ჯ. შ. თაბაგარი, საგარეჯოს აგურის ქარხნის დირექტორი რ. გ. სააკოვი, საქართველოს სსრ კავშირგამშულობის მინისტრის მოადგილე შ. ს. კობახიძე, საქართველოს სსრ საეტომობილო გზების მინისტრი გ. ვ. რობიტაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ს. შენგელია, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. მეზერიშვილი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე შ. მ. ბეზარაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე კ. ს. მეგრელიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ა. ნ. ჩუტკინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბარეა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ი. ქედიშვილი.

(საქინფორმი).

ექვიტრები

თელავის სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის წევრები ნატა ბაზიკოშვილი, ლია ბეჟუაშვილი და ნინო ხუხაშვილი ამ ცოტა ხნის წინ მოგიდნენ საწარმოში. ბეჟით და შრომისმოყვარე გოგონებმა მოკლე ხანში აითვისეს მკერავის პროფესია.

სამმა მეგობარმა დიდი ხანია გაუსწრო გეგმის გრაფიკს.

ფაბრიკაში პატივს სცემენ და უყვართ მოწინავე კომკავშირელი გოგონები. ამ დღეებში მეგობრებს დაავალეს ახალი პროდუქციის ათვისება — ქალის საშინაო ხალათისა და სხვა ახალი მოდელის ტანსაცმლის შეკერვა.

ახალგაზრდა მკერავები ამ დავალებასაც წარმატებით ასრულებენ.

სურათზე: მოწინავე მკერავები (მარცხნიდან) ნატა ბაზიკოშვილი, ლია ბეჟუაშვილი და ნინო ხუხაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სწავლობენ სახალხო კონტროლიორები

გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეთა სამდღიანი სემინარი. სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კვარაცხელიამ.

მოხსენება — „სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის ორგანიზაცია სახელმწიფო, საგეგმო, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის“ — გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საგეგმო-საფინანსო ორგანოების განყოფილების სექტორის გამგემ ვ. მსტისლავსკიმ.

„სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების დებულება“ — ასე ეწოდებოდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. თავზარაშვილის მოხსენებას.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების გამგემ ნ. აკაბამ და ამ კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ზ. ობოლაძემ თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს თემას: „სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობის ორგანიზაცია და სტრუქტურა“.

„კონტროლის ორგანიზაცია მრეწველობაში და ტრანსპორტზე“ — ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილემ ო. უსტინოვმა.

მშენებლობაზე კონტროლის ორგანიზაციის შესახებ ილაპარაკეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ თ. ჯაფარიძემ და განყოფილების ინსპექტორმა რ. ტყეშალაძემ.

სოფლის მეურნეობაში კონტროლის ორგანიზაციის მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ზ. აბაზაძემ.

„კონტროლი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სავაჭრო და საგეგმო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის ა. ჭანტურიასა და ამ განყოფილების ინსპექტორის ა. ლომიძის გამოსვლების თემა.

კულტურის, მეცნიერების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში კონტროლის ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა კულტურის, მეცნიერებისა და სახალხო განათლების განყოფილების გამგემ კ. ახვლედიანმა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს გამგემ ვ. ხოდელმა და საჩივრების ბიუროს ინსპექტორმა შ. ზედელაშვილმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს მუშაობა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის საერთო განყოფილების გამგემ ხ. მატიანმა და ინსპექტორმა პ. კიკოშვილმა შეკრებილთ გაუზიარეს საქმის წარმოების ორგანიზაციის პრაქტიკა.

„სახალხო კონტროლის კომიტეტების მუშაობის გამოცდილება ლენინური იდეების განხორციელებაში, ხალხის მასების მხრივ მუდმივი და ქმედითი კონტროლი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად“ — ასეთი იყო სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილის ვ. ევდოკიმოვის მოხსენების თემა.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების სექტორის გამგემ ს. კრაპილინმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა ადმინისტრაციულ, სახელმწიფო, კონტროლისა და ინსპექტურის ორგანოებთან სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების შესახებ.

მოხსენება — „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების ამოცანები ჯგუფების, საგუშაგოების სრულყოფილების დონის შემდგომ ამაღლებაში“ — გააკეთა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კვარაცხელიამ.

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

(საქინფორმი).

მეგობრულ ვითარებაში

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა

ძვირფასო მეგობარო ჰაფეზ ასად!

პატივცემულო სირიელო მეგობრებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

უფროსულ ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა გადავიხადო იმ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა თქვა ჩვენი ქვეყნის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიმართ.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენი ხალხების მეგობრობას, რომლის სიმტკიცე და სასიცოცხლო ძალა დადასტურდა საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის განვითარების ყველა ეტაპზე, ზოგჯერ უადრესად რთული და მძაფრი სიტუაციების პირობებში.

ახლახან გამართულმა მოლაპარაკებამ კვლავ დამაჯერებლად ცხადყო იხეიდულებათა ერთიანობა, საერთო თვალსაზრისი როგორც საერთაშორისო მდგომარეობის, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის ვითარებისა და ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფის გზების, ისე ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივების შეფასებაში.

შეთანხმება ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების დარგში ახალ შეთანხმებათა დადების შესახებ, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რაც, როგორც ჩანს, ხვალ შესაბამისად გაფორმდება, დამატებითს შესაძლებლობებს უქმნის საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ჩვენი ქვეყნების სალხთა საკეთილდღეოდ. ეს შეთანხმებანი უთუოდ ხელს შეუწყობენ სირიის არაბთა რესპუბლიკას დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, კადრების მომზადებაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

კმაყოფილებას გამოვთქვამთ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ურთიერთობის განმტკიცების საკითხებზე აზრთა ურთიერთგაზიარების გამო. ამასთან დიდად ვაფასებთ ჩვენს დიდ მეგობართან ჰაფეზ ასადთან და სირიის სხვა ხელმძღვანელებთან დამყარებულ ურთიერთნდობას და რეგულარულ პირად კონტაქტებს. ეს საუბლებას გვაძლევს გულახდილად გაეუზიაროთ ერთმანეთს აზრები ყველა საინტერესო საკითხზე. შევიმუშაოთ მოქმედების შეთანხმებული ხაზი.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი პოლიტიკა სირიისა და მოლიანად არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ გუშინ კვლავ მკაფიოდ ჩამოყალიბა თავის სიტყვაში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს პოლიტიკა უწყვეტია და პრინციპულია, იგი გამომდინარეობს თვით ჩვენი წყობილების არსიდან, საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებიდან, მისი იმ მუდმივი დაინტერესებიდან, რომ ახლო აღმოსავლეთის ხალხები თავისუფალი და აყვავებული იყონ. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ დგას არაბ ხალხთა მხარეზე. ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს მათს ბრძოლას ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. ჩვენ ერთსულოვნად მიგვაჩნია, რომ ასეთი მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ისრაელი მთლიანად გამოიყენებს ჯარებს ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, ეროვნული უფლება პალესტინის არაბი ხალხის ეროვნულ სუვერენიტეტზე, ეროვნული სახელმწიფოს შექმნაზე, ეროვნული ტერიტორიის — [illegible] ლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების გარშემო მიმდინარეობს მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა, განსაკუთრებით საჭიროა სიფხიზლე გამოვიჩინოთ იმპერიალისტური და რეაქციული ძალების ხრიკების მიმართ. საჭიროა სწორად, რეალისტურად ვაფასებდეთ ვითარებას, ნათლად ვხედავდეთ ყველა წყალქვეშა ქვას, შეგვეძლოს მტერ-მოყვარის გარჩევა. ბრძოლის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაბული ქვეყნების ერთიანობას, მათს ურთიერთმოქმედებას თავიანთ მოკავშირეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

დასასრულ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში წარმატებული იქნება. სულითა და გულით ვუსურვებ სირიის ხელმძღვანელებს, მთელ სირიელ ხალხს წარმატებებს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში მტიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში მიღწევებს სოციალისტური პროგრესის გზაზე.

ნება მიბოძეთ ვადღეგრძელო ჩვენი მეგობარი ჰაფეზ ასადი და სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

ფეიუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობას და ნაყოფიერ თანამშრომლობას!

• • •

ამხანაგების ჰაფეზ ასადისა და ნ. ვ. პოდგორნის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სირიელი სტუმრები იყვნენ სსრ კავშირის დიდ თეატრში

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა და სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა 12 აპრილს სსრ კავშირის დიდ თეატრში ნახეს პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“.

სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში ამხანაგ ჰაფეზ ასადთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულებულ იქნა სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მაყურებლები ფეხზე ამდგარნი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა ხელმძღვანელებსა და საპატიო სირიელ სტუმრებს.

სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ მ. ვ. კონდრატიევა, მ. ე. ლეპეშა, ა. ა. ლავრენოვი, ა. გ. ბოგუსლავსკაია. ორკესტრს დირიჟორობდა ა. ა. კოპილოვი. (საკდესი).

გვირგვინებით შეკოობა

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი 13 აპრილს იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. ჰაფეზ ასადთან ერთად იყვნენ სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

ჰაფეზ ასადმა გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

საპატიო ხტუმარს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. ბიორკაძე, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი.

ჰაფეზ ასადი მოსკოვიდან გაემგზავრა

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, რომელიც მეთაურობს სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას და საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 13 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა.

თვითმფრინავის ტრაპთან ჰაფეზ ასადს გულთბილად დაემშვიდობნენ სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ა. ნ. ტიხონოვი, სსრ კავშირის საბჭოთა კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ს. გ. გორშკოვი, ადმირალ ი. ა. ანტონოვი, ადმირალ ვ. ნ. ალექსეევი, ადმირალ ნ. ნ. ანდერსონი, ადმირალ ნ. ნ. ბეზბოროდოვი, ადმირალ ნ. ნ. ბეზბოროდოვი, ადმირალ ნ. ნ. ბეზბოროდ

მსოფლიო დღეს

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სპეციალური სესიის პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სპეციალური სესიის პლენარულ სხდომაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში პირველად, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, გენერალური ასამბლეა სპეციალურად მოწვეულია საერთაშორისო ეკონომიური კავშირურთიერთობის საკითხების განსახილველად.

თვით ის ფაქტი, რომ ეკონომიური განვითარების საკითხები ფართო საერთაშორისო განხილვისათვის არის გამოტანილი, მოწმობს ღრმა ცვლილებებს, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ხდება.

დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება. საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება — აი რა უქმნის ხელშეწყობ გარემოს ეკონომიური კავშირურთიერთობის ნორმალიზაციას. ურთიერთობის გარდაქმნა მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობის ფართოდ აღიარებულ პრინციპებზე არსებითად მხოლოდ ახლა დაიწყო, მაგრამ უკვე ამ დარგშიც იგი საგრძნობ ნაყოფს იღებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელ სესიაზე განსახილველი საკითხების არსებითი გადაწყვეტა არ შეიძლება არ წარმართოს თანამედროვეობის ამ მთავარი დადებითი პროცესების კალაპოტით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი გადაწყვეტანი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაჯანსაღების, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარების ინტერესებს.

ბევრი განვითარებადი ქვეყანა ღღესაც მონობოლისტური კაპიტალის მსრივ ექსპლოატაციის ობიექტია, განსაკრძო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა.

უკანასკნელი თვეების მანძილზე დედამიწის მთელ რიგ რაიონებში გაუარესდა სასურსათო მდგომარეობა, ენერგეტიკულმა და სავალუტო კრიზისებმა კი გააძლაგაეს ადრე არსებული სიძნელეები.

საბჭოთა კავშირს, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის სისტემის თანმიმდევრული გარდაქმნა. ამ სისტემაში აუცილებელია მთლიანად აღმოიფხვრას კოლონიალიზმის გადმონაშთები და ყოველგვარი უთანასწორობა.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკის სფეროში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობა გამსჭვალული უნდა იყოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპებით.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი სუვერენიტეტის პრინციპს, განაცხადა შემდეგ ა. ა. გრომიკომ. ეს პრინციპი გულისხმობს თვითეული სახელმწიფოს იმ სუვერენული უფლების უთუო პატივისცემას, რომ თავისუფლად, ვიმეორებ — თავისუფლად განაგებდეს თავის ბუნებრივ რესურსებს. სუვერენიტეტის პრინციპი, ბუნებრივია, შეიცავს ნაციონალიზაციისა და უცხოეთის კაპიტალის საქმიანობისადმი კონტროლის დაწესების უფლებას. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს განვითარებადი ქვეყნების იმ მოთხოვნებს, რომ ეს დებულებანი ქაღალდზე არ რჩებოდეს.

ახალგაზრდა სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ბრძოლასთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ტერიტორიათა ძალით შეძენის შეუწყნარებლობისა და ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპებს. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპების განურყელ დაცვას, განსაკუთრებით ცხადად ჩანს ახლო აღმოსავლეთში არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიიდან.

ნახევარ საუკუნეზე მეტია საბჭოთა სახელმწიფო ადგას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერის, განთავისუფლებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის, მათთვის შეძლებისდაგვარი დახმარებისა და ხელშეწყობის გაწევის კურსს. ჩვენ ამ კურსს ვადგებით მაშინაც, როცა თვითონ გვიჭირდა ბევრი რამ. ჩვენ მტკიცედ ვადგავართ მას ახლაც, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა.

ალბათ, ძნელი გამოსათქმელია ციფრებით იმ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ხელშეწყობის მასშტაბი, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს სხვა ქვეყნებს. გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი დახმარებით განვითარებადს ქვეყნებში აშენდა ან შენდება ათასამდე სამრეწველო და სხვა დიდი ობიექტი. მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიც არის ასუანი — ეგვიპტეში და ბპილაი — ინდოეთში.

ჩვენი ხელშეწყობა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს ინდუსტრიული ბაზის შექმნას ახალგაზრდა სახელმწიფოებში, მის მთავარ დარგებში. და ეს ხომ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, ჩამორჩენის დაძლევის, მაშასადამე ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საძირკველია.

უკლებლივ ყველა აშენებული საწარმო განვითარებადი ქვეყნების ეროვნული კუთვნილება ხდება. მოგების გატანა — ეს არის კატეგორია, რომელიც სრულიად გამორიცხულია ამ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობიდან.

ჩვენი თანამშრომლობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ იგი ხორციელდება ბეგმიან საფუძველზე, უკავშირდება ახალგაზრდა სახელმწიფოთა პერსპექტიული განვითარების სამნიაო პროგრამებს.

ამით გათვალისწინებულია მათი არა მარტო დღეგანდელი მოთხოვნები, არამედ ძირეული ხანგრძლივი ინტერესებიც.

ჩვენ კვლავაც ვითანამშრომლებთ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან, შეძლებისდაგვარად დავეხმარებით და ხელს შევუწყობთ მათ სულ სხვადასხვა მიმართულებით.

ჩვენ კვლავინდებურად ვესწრაფვით ამ სახელმწიფოებთან ერთიან მოქმედებას მსოფლიო ასპარეზზე დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, ერთად წავწევთ წინ მომწიფეული საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის საქმეს. საკადრის პასუხს გავცემთ რეაქციის ძალების მიერ მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, პროგრესული სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელების უფლების ხელყოფას. ეს კურსი განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, იგი თავისუფალია ყოველგვარი კონიუნქტურული ინტერესებისაგან და თანმიმდევრული, პრინციპული კურსია.

ისევე როგორც წინათ, ჩვენი ქვეყანა წინააღუდგება იმის ცდებს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამოაშორონ მის ბუნებრივ მოკავშირეს — სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. ჩვენ არასოდეს არ დავთანხმებთ არც თეორიულად, არც პრაქტიკულად — „ღარიბ“ და „მდიდარ“ ქვეყნებად მსოფლიოს დაყოფის მცდარ კონცეფციას, რომელიც ერთ „სიბრტყეზე აყენებს სოციალისტურ და სხვა გარკვეულ სახელმწიფოებს, რომლებმაც ბევრი, ძალიან ბევრი სიმდიდრე წაგლეჯეს კოლონიურ ბატონობაში მყოფ ქვეყნებს.

უკანასკნელ ხანს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის განვითარებადს ქვეყნებში, მკვეთრად გამოვლინდა სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის ნაკლებობა.

აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ენერგეტიკასთან დაკავშირებით შექმნილი ყველა სიძნელე გადააბრალონ არაბულ სახელმწიფოებს, რომლებმაც, როგორც ცნობილია, მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს თავიანთი ეკონომიური ინტერესების დასაცავად, აგრესიით გათელილი თავიანთი უფლებების აღსადგენად, მაგრამ ეს ნიშნავს ფაქტების თავდაყირა დაყენებას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ქვეყნების მოქმედებას, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, რომლებსაც კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროდ მიაჩნიათ უცხოეთის ნავთობის კომპანიათა საქმიანობის თანმიმდევრულად შეზღუდვა, რომლებსაც ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა კრიზისის წარმომობისათვის.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილ თათბირზე საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები აყენებენ წინადადებას, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ერთად იმოქმედონ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გრძელვადიანი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ენერგეტიკის დარგსაც მოიცავენ. ეს აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი დადებითი წვლილი იქნებოდა ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებაში ევროპის ფარგლებს გარეთაც.

ყველაზე მოგვარებული თანამშრომლობაც კი ეკონომიურ დარგში, ისევე როგორც ყველა სხვა დარგში, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ დავიცავთ მთავარ პირობას — შვეიცარიულები და განვამტკიცებთ მშვიდობას დედამიწაზე.

ძალებს, რომლებიც მშვიდობასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას ეწინააღმდეგებიან, იარაღი არ დაუყრიათ, ყოველივე ეს ნიშნავს, რომ შემდგომშიც საჭიროა ერთობლივი მეცადინეობა, რათა განვაგრძოთ და განვამტკიცოთ დაძაბულობის შენელება, შეუქცევადი გავხადოთ იგი.

განა ამას არ ისახავს მიზნად, მაგალითად, საბჭოთა კავშირის წინადადება უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად გამოყენების შესახებ, რომელიც მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ?

ჩვენ არც მომავალში შეეგებელთ ღონისძიებებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. სწორედ ამ დღეებში შესრულდა სამი წელი, რაც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო მშვიდობის პროგრამა. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირში ეს დიდმნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური პლატფორმა წარმატებით ხორციელდება პრაქტიკულად.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის ასპარეზზე ღონისძიებათა გაერთიანებისათვის მუშაობდს ყველას, ვინც გულწრფელად ესწრაფვის ამას. — სახელმწიფოთა მტკიცე მშვიდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა, — ხაზს უსვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, — უფრო ხელშეწყობ პირობებს შექმნიან აგრეთვე ბევრი სხვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად, როგორიცაა ეროვნული განთავისუფლება, სოციალური პროგრესი, აღმაშფოთებელი ეკონომიური უთანასწორობის აღმოფხვრა სხვადასხვა ქვეყანას შორის“.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სესიის მუშაობა მიმდინარეობდეს საქმიან ატმოსფეროში, განაცხადა შემდეგ ა. ა. გრომიკომ. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ასეთივე განწყობა აქვს მის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას. მაგრამ, ეტყობა ყველას არა.

გაისმის ცალკეული ხმები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგი ვინმე სესიაზე მოვიდა მისი მაღალი მიზნებისათვის უცხო სხვაგვარი განზრახვით. მაგრამ რა უბედნიერ დეკადგიასა და ინსინუაციებაც უნდა ეწიოდნენ „ზესახელმწიფოების“ შესახებ და ცილისმწამებლურ მონაჩმახებს ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის, მისი სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრესიის ძალების დათრგუნვისა და ხალხთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლის პოლიტიკის წინააღმდეგ, ამით ვერ შენიღბავენ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა თანამშრომლობის ინტერესებს და კონსტრუქციულ გადაწყვეტათა ძიებას.

საბჭოთა კავშირი იმედოვნებს, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სპეციალური სესია მუშაობის მთელი მიმართულებით, მიღებული პოზიტიური გადაწყვეტილებებით თავის დიდ წვლილს შეტანს დაძაბულობის შენელების კონსოლიდაციაში, მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში.

სახელოვანი იუბილე

პარიზი. 13 აპრილი. (საკდესის კორ.). „სოფრანგეთის კომუნისტური პარტია და პრეზიდენტის არჩევნები“, — ამ ლოზუნგით პარიზის „მიუტიუალიტის“ დარბაზში გაიმართა პარიზის რაიონის მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ 70 წლისთავს, რომელიც 18 აპრილს სრულდება.

გაზეთის დირექტორმა, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ე. ფაიუონმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაზეთი მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში.

კომპარტიის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ იუბილე დაემთხვა ამ პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც საფრანგეთში გაიმართა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, თქვა მიტინგზე გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ. მემარცხენე ძალების ერთობლივი კანდიდატის არჩევა ნიშნავს სოციალური და ეკონომიური პროგრესის ახალი პოლიტიკის დაწყებას.

ჟ. მარშემ განაცხადა, რომ საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს ყველა მშრომელს ხმა მისცენ მემარცხენე ძალების კანდიდატს ფ. მიტერანს. და თავის მხრივ მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს პრეზიდენტის არჩევნები გადაიქცეონ ქვეყნის სოციალური, დემოკრატიული განახლებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპად.

□ ნიუ-იორკი

მიმესაჯა სამუდამო პატიმრობა

□ ბრიუსელი

მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები ეტყობინებიან

მთავრობის კრიზისი — ბელგია

ბრიუსელი, 13 აპრილი. (საკდესი). **ბელგიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი. ბელგიის მეფემ ბოდუენ პირველმა მიიღო სოციალურ-ქრისტიანული პარტიის ფლამანდური ფრთის ლიდერი ლ. ტინდემანსი, რომელმაც განუცხადა, რომ მისი ცდა შეექმნა ქვეყნის ახალი მთავრობა, მარცხით დამთავრდა.** ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ლ. ტინდემანსის და სოციალურ-ქრისტიანული პარტიის სხვა ხელმძღვანელების მოლაპარაკება, რომელიც დაახლოებით სამ კვირას გრძელდებოდა, ბელგიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებთან კოალიციური მთავრობის პროგრამის შესახებ, რომელთა დასახელება სამ კვირას გრძელდება; მარცხით დამთავრდა. ამ მოლაპარაკების დროს გამოვლინდა სერიოზული უთანხმოებანი ქვეყნისათვის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, მათ შორის ეროვნულ-ლინგვისტური პრობლემებისა და განათლების პროგრამის დარგში. ამის შედეგად სოციალისტებმა უარი თქვეს ახალ მთავრობაში შესვლაზე.

სოციალისტებთან მოლაპარაკების მარცხით დამთავრების მიუხედავად ლ. ტინდემანსი კიდევ ერთხელ შეეცდება შექმნას ახალი მთავრობა და მიმართავს სხვა პარტიებს.

პროექტი მიიღეს

ნიუ-იორკი. 13 აპრილი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიის განსაზღვრის საკითხზე შექმნილმა სპეციალურმა კომიტეტმა დღეს დაამთავრა სამუშაო, რომელიც მას გენერალურმა ასამბლეამ დაავალა.** კომიტეტმა ერთსულოვნად მიიღო აგრესიის განსაზღვრის პროექტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან შეუთავსებელ აგრესიად ცნობს ერთ-ერთ სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენებას.

დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ აგრესიის გამართლება არ შეიძლება პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო ან სხვა ხასიათის რაიმე მოსაზრებებით. პროექტი უკანონოდ ცნობს იარაღის ძალით სხვისი ტერიტორიის დაპყრობას. აღნიშნულია, რომ აგრესია დანაშაულია საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ, ხოლო აგრესორს ეკისრება საერთაშორისო პასუხისმგებლობა.

დამნაშავედ ცნეს

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. (საკდესი). ქალაქ მიდიაში (პენსილვანიის შტატი) დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარის უ. ბოილის გასამართლება, რომელსაც ბრალად დასდეს ამ პროფკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ჯ. იაბლონსკის მკვლელობის ორგანიზაცია. ნაფიც მსაჯულთა ეიერომ უ. ბოილი დამნაშავედ ცნო მისთვის წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტით.

ბოილმა და მისმა ადვოკატებმა ვერ უარყვეს 58 ბრალდების მოწმის ჩვენებანი, რომ სწორედ ბოილმა მისცა მითითება იაბლონსკის ფიზიკურად მოსპობის შესახებ და ამისათვის პროფკავშირის სალარიდან 20 ათასი დოლარი გასცა.

ბოილს, რომელიც ახლა სამი წლის პატიმრობას იხდის პროფკავშირული სახსრებით ფინანსური მექანიკებისათვის, სიუდამო პატიმრობა მოელის.

მრსყიდვისა და მუქარის საშუალებით ეს პროფკავშირული ბოსი 10 წლის მანძილზე ინარჩუნებდა მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარის პოსტს, სანამ 1969 წელს მორიგ არჩევნებში მისი სამარცხვინო საქმიანობა არ ამხილა თვალსაჩინო პროფკავშირულმა აქტივისტმა ჯოზეფ იაბლონსკიმ.

თავისი უკომპრომისო და პრინციპული პოზიციით ჯ. იაბლონსკიმ ფართო პოპულარობა მოიპოვა რიგით მაღაროელთა შორის. მისი კანდიდატურა წამოაყენეს პროფკავშირის თავმჯდომარის პოსტზე და აუცილებლად გაიმარჯვებდა მომავალ არჩევნებში, რასაც პროფკავშირის ხელმძღვანელები ვერ დუშვებდნენ. არჩევნების შედეგები გადაასხვაფერეს ბოილის სასარგებლოდ, მაგრამ ჯ. იაბლონსკიმ, მუქარის მიუხედავად სასამართლოში უჩივლა ბოილს და ბრალად დასდო კენჭისყრის შედეგების ფალსიფიკაცია.

მაშინ ბოილმა გამოიძახა იგი და პროფკავშირის ყოფილი მდივანი — ხაზინადარი ა. პასი და მისცა მას მითითება: „იაბლონსკი უნდა მოკვლათ. იზრუნეთ ამისათვის“.

თუ როგორ „იზრუნეს“ ამისათვის ბოილის დამქაშებმა, ცნობილია: 1969 წლის 30 დეკემბერს ღამით დაქირავებული მკვლელები შეიჭრნენ ჯ. იაბლონსკის სახლში და დაბერტეს ყველა, ვინც იქ იყო — თვით, იაბლონსკი, მისი ცოლი და ქალიშვილი.

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ

ლონდონი, 13 აპრილი, (საკდესი). **დაიწყო ინგლისის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ოლდერმასტონის ტრადიციული ლაშქრობა.** იგი მოიწყო „ატომური განიარაღების მოძრაობამ“. ლაშქრობა ოთხ დღეს გაგრძელდება და დამთავრდება ორშაბათს მასობრივი მიტინგით, რომელიც გაიმართება ინგლისის დედაქალაქის ტრაფალგარის მოედანზე.

ოლდერმასტონიდან ლონდონში მიმავალ გზაზე ლაშქრობის მონაწილენი აგროვებენ ხელმოწერას პეტიციაზე, რომელიც ინგლისის მთავრობას მოუწოდებს ხელი აიღოს ატომურ იარაღზე. შემდეგ ამ პეტიციას წარუდგენენ პარლამენტს.

ეს სტატია გამოაქვეყნა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელო“.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

ერთი შეხედვით უცნაური სიმბიოზი:

პირველი კონტრრევოლუციონერები და ისინი, ვინც თავის თავს თანმიმდევრულ რევოლუციონერებსა და ინტერნაციონალისტებს უწოდებენ. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობისათვის, ვინც მრავალი წლის განმავლობაში აკვირდება მაოისტთა ნამდვილ სახეს და მათი ლოზუნგების ფასი იცის, ამაში არაფერი გასაკვირველი არ არის...

მაო ძე-დუნის დაბადების დღემდე ერთი თვით ადრე, გასული წლის 27 ნოემბერს პეკინში მოვიდა დეპეშა სანტიაგოდან. „სოკვდილის გენერალი“ პინოჩეტი ათას ძილოცვასა და პირადი ბედნიერების კეთილ სურვილებს უგზავნიდა თავმჯდომარე მაოს მისი 80 წლისთავის გამო. ასე ნაადრევად დეპეშის გაგზავნა და ის, თუ როგორ შეხვდნენ მას პეკინში, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

სამხედრო ხუნტამ ჩილეში ხალხის ფართო ფენებს თავს დაატეხა გაუგონარი რეპრესიები. მან „ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყო მარქსიზმისა და სოციალიზმის წინააღმდეგ, მიუნდა დაისახა ჩილელთა შვენებიდან ყოველგვარი პროგრესულის ამოძირკვა.

ჩილელი ხალხის დასაცავად აღდგა მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა, სოციალისტური ქვეყნების მთავრობებმა და საერთაშორისო კომუნისტური რეპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს ხუნტასთან.

ჩილელი ხალხის ძნელბედობის ჟამს პეკინელ ლიდერებს მის დასაცავად კრინტიც არ დაუძრავთ.

ასრულებდა რა პეკინის ხელისუფალთა მითითებას, ჩინეთის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არამც თუ დაგმო ჩილეს რეაქციის მოქმედება, არამედ, პირიქით, ჩილეს რევოლუციის გზებისა და მეთოდების წინააღმდეგ გამოვიდა. მან მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას ლ. კორვალანის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება.

ჩინეთის საელჩოს პერსონალი სანტიაგოში ადგილზე დარჩა. ჩილელი ემიგრანტები აკვიანან, რომ ჩინელი დიპლომატები ამჟამად ერთადერთი უცხოელები არიან, რომლებიც არხეინად დასეირნობენ სანტიაგოს ქუჩებში, ხოლო ჩინეთის საელჩოს არცერთი ჩილელი პატრიოტისათვის არ მიუცია თავშესაფარი. პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ძი პენ-ფეიმ ჩილელ წარმომადგენელს განუცხადა, რომ ისინი (მაოისტები) მას ადარ ცნობენ როგორც ჩილეს წარმომადგენელს ჩინეთში. იმავე დღეს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საელჩოს შეფად ცნო ხუნტის დამქაში. ასეთი შეცვლის მიზეზი სავსებით ცხადია: ჩილეს წარმომადგენელმა, სახალხო ერთიანობის აქტივისტმა არმანდო ურიბემ განაცხადა, რომ იგი მტკიცედ დგას პატრიოტული ძალების მხარეზე. თავი დაუკრეს რა „სიკვდილის გენერალს“, მაოისტებმა გააუქმეს სამმაძღრის დღე ს. ალიენდეს მოკვლის გამო.

რამდენიმე წლის წინათ მაო ძე-დუნმა ერთ-ერთ ფურნალისტს უთხრა, რომ „ჩინელის სიტყვა ერთია და საქმე კი სულ სხვა“. მაგრამ ცხადია, რომ ეს ეხება არა ჩინეთის მშრომელ ხალხს, არამედ პეკინის დღევანდელ მმართველებს. ისინი აცხადებენ „მასდყოფნას უმაღლესი ეროვნული მსხვერპლისათვის“ ანტიიმპერიალისტური ძალების დასახმარებლად, საქმით კი მსხვერპლად სწირავენ რევოლუციურ ძალებს.

ეს სტატია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელო“ გულგარეთი

პეკინი და ჩილეს კონტრრევოლუცია

„რაბოტნიჩესკო დელო“. ბულგარეთი

ამერიკაში მეორემ კუბის შემდეგ ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. პარადოქსალურია, რომ მაოისტებმა სწორედ ახლა მიიწვიეს პეკინში არჩევნებში აღიარებეს მეტოქე რადიმირო ტომიჩი, რითაც ცხადყვეს, რომ იმედს მემარჯვენე ძალებზე ამყარებდნენ. თუმცა, სურდათ რა მიეღოთ ჩილედან ძვირფასი ნედლეული, თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მზად იყვნენ ალიენდესათვის აღმოეჩინათ „გარკვეული დახმარება“. ჩილეს პრეზიდენტისადმი წერილში ჯოუ ენ-ლაი შეეცადა მიეცა რჩევა, რათა ჩილე დაყრდნობოდა „საკუთარ ძალებს“. „ძალიან საშიშიქნებოდა, — ამტკიცებდა იგი, — გარედან რაიმე დახმარებაზე, კერძოდ, დიდი სახელმწიფოების მიერ მიცემულ კრედიტებზე დაყრდნობა“.

ამ გამოთქმის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დახმარებისადმი უნდობლობის დათესვა. საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩილეს ეკონომიკის სტაბილიზაციაში, და სწორედ ეს დახმარება ჯოუ ენ-ლაიმ დაასახიათა როგორც საშიში მოვლენა ქვეყნის სუვერენიტეტისათვის და „სო-

ბელგიის საგაფიცვო ბრძოლა ძლიერდება

კაპიტალისტურ სამყაროში ზედიზედ იმართება ამ დღეებში მშრომელთა გაფიცვები. ყველა მხრიდან მოდის ახალ-ახალი ცნობები საგაფიცვო ბრძოლის შესახებ, რომელიც ზოგჯერ უმაგალითო გაქანებას იღებს.

საყოველთაო 96 საათის გაფიცვა დაიწყეს სრულიად იაპონიის სახელმწიფო რკინიგზების მუშათა პროფკავშირმა და სრულიად იაპონიის სახელმწიფო რკინიგზების მემანქანეთა პროფკავშირმა, რომლებშიც 270 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული. როგორც სახელმწიფო რკინიგზების ადმინისტრაცია აღნიშნავს, ასეთი გაქანების გაფიცვა ჯერ არ ყოფილა იაპონიაში ომის შემდეგ.

120 საათის გაფიცვაში ჩაებნენ გუშინ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები. გაიფიცნენ კერძო ქიმიური საწარმოების მუშები.

მეწარმეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული ბორეუოზიული გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“ სტამბის მუშები, რედაქციები და კორესპონდენტები. კანზასსიტისა და სან-ფრანცისკოს მასწავლებლებს მიბაძეს და გაიფიცნენ ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატის მასწავლებლებიც — სულ 1.200 კაცი.

ესპანეთში ბრძოლას განაგრძობს ქალაქ ალპოის საფეიქრო მრეწველობის 6 ათასი მუშა, უტრილიასის კომპანიის მაღაროელები. 40 ათასმა სარაგოსელმა მელითონენ გამოაცხადა, რომ თუ არ დაკმაყოფილეს მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები, ისინი გაიფიცებიან.

საგაფიცვო ბრძოლაში ჩაება კოლუმბიის ქალაქ მანიასალესის საფეიქრო ფაბრიკა „უნიკის“ 1.200 მუშა-მოსამსახურე, გაფიცული არიან ნიკარაგუის მრავალი სამედიცინო დაწესებულების მუშაკები, ავსტრალიელი მუშები და დოკერები.

მშრომელთა ერთსულოვან და მტკიცე ბრძოლას თავისი ნაყოფი მოაქვს. წარმატებით დამთავრდა, მაგალითად, იტალიის საბეჭდი და საანგარიშო მანქანების კომპანია „ოლივეტის“ 32 ათასი მუშა-მოსამსახურის ბრძოლა. გამარჯვებით დაგვირგვინდა ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტოს მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც სამ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა. (საკდესი).



ამერიკის შეერთებული შტატები. მასობრივ დათხოვნებს ამერიკის საავტომობილო მრეწველობაში ბოლო არ უჩანს. კონცერნების „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნის“, „ფორდ მოტორ კომპანის“ და „კრაისლერ კორპორეიშნის“ „დიდმა სამეულმა“ გამოაცხადა, რომ „დროებით“ დაიხურება 17 ქარხანა. ეს ნიშნავს, რომ სამოლოო ანგარიშით დათხოვნების შედეგად უმუშევარი დარჩება 46 ათასი მუშა.

ხურათზე: „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნის“ ავტომშენებელთა პიკეტი ქალაქ ფრამინგტონში. ისინი გამოდიან მუშათა მასობრივი დათხოვნების წინააღმდეგ. (საკდესის ფოტო).

ა. ა. გრომიკოს ესაუბრა პრეზიდენტ რ. ნიქსონს

ვაშინგტონი, 12 აპრილი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ძირითად საკითხებსა და აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ რ. ნიქსონის მომავალ ვიზიტთან.

საუბარში, რომელსაც საქმიანი და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

ცეცხლი დაუშინეს

დამასკო. 12 აპრილი. (საკდესი). დღეს დილით ისრაელის ჯარებმა გოლანის მაღლობებზე ცეცხლის შეწყვეტის ხაზის სხვადასხვა უბანზე საარტილერიო ქვემეხებისა და ტანკების ცეცხლი დაუშინეს სირიის ჯარების მოწინააღმდეგეს.

სირიის არტილერიამ და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებმა, განაცხადა სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა, ც

სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის დროს ყოველი დიდი მწერალი ეყრდნობა თბილქტურ ფილოსოფიურ მსოფლშეგრძნებას. რაც უფრო ღრმად იჭრება შემოქმედი ადამიანის სულის ჯერ კიდევ უცნობ სფეროში, მით უფრო ღრმად იგრძნობა ცხოვრების ფილოსოფიური შეცნობის აუცილებლობა.

ცხოვრების დიალექტიკის ბრწყინვალე მცოდნეა ლეო ქიაჩელი. ამის უტყუარი დასტურია მისი პირველი რომანი „ტარიელ გოლუა". ეს ნაწარმოები შეიხება 1905 წლის რევოლუციას. ლეო ქიაჩელი შორიდან მაყურებელი რადი იყო ბობოქარი ამბებისა. რომანის ავტორი მაშვრალთა მეგობრად და მებრძოლად გვევლინება.

როგორია „ტარიელ გოლუა", როგორც მხატვრული ძეგლი? გაუძლებს თუ არა იგი დროის გამოცდას? დარჩება იგი მხატვრულ დოკუმენტად?

მთელი ნაწარმოების მშვენება მაინც თვით ტარიელ გოლუაა, რომლის ხასიათში ერთად არის შეერთებული ეროვნული და რევოლუციური. ტარიელ გოლუა, როგორც ამაღლებული ხასიათი, დიდი ხანია დაუდგა გვერდით მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ბელეტრისტების მიერ შექმნილ კლასიკურ სახეებს.

საბჭოთა თემატიკიდან ლეო ქიაჩელის ყველაზე უფრო დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს „გვადი ბიგვა", ოცდაათიან წლებში დაიბადა იგი და იმავე წლებში გაითქვა სახელი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს აქტი გამარჯვება იყო ავტორისა. ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ განაპირობა „გვადი ბიგვას" დიდება? პირველი ფაქტორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ჰუმორი. ამ ვითარების გამო ლეო ქიაჩელი იქცა სიცილის მეუფედ; მაგრამ არა იმ სიცილისა, რომელიც წარმოიშობა დროებითი გაღიზიანებით, ხასიათის ღვარძლიანი, ავადმყოფური განწყობილებით, ან მსუბუქი ქცევებით, რომელთა მიზანია ლაზღანდარობა, უსაქმო გართობა, არამედ სიცილისა, რომელიც ადამიანს აღმოხდება ხოლმე თავისი ნათელი ბუნებიდან, რომლის ფსკერზეც ჭეშმარიტი ჰუმორის მედგამ მჩქეფარე წყაროა მოთავსებული. ამიტომაც ნათელი, მხიარული სიცილი შეუძლია მხოლოდ ღრმა, კეთილ გულს. ამგვარი სიცილის სიღრმეში, როგორც ეოგოლი ფიქრობდა, ყოველთვის შეიძლება მოინახოს მხურვალე ნაპერწკალი მარად უძლეველი სიყვარულისა.

ამრიგად, ჭეშმარიტი ჰუმორი სასურველი იყო ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას" ხასიათებისა.

ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არა მარტო ანარეკლი უნდა იყოს რეალური ცხოვრებისა, არამედ მისი გარდაქმნის საშუალებაც. ამ თვალსაზრისით უნდა იყოს გაანალიზებული ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა". ამ ნაწარმოების ნიღბები არასოდეს არ ჩერდება მიღწეულ დონეზე და პერმანენტულად აგრძელებს განვითარების პროცესს. სოციალისტურმა სინამდვილემ ნიღბები გარდაქმნა ადამიანებად.

გვადი პირველად თავის ცხოვრებაში შეგოიძარცვაულ ძონძებს, რომელიც დღემდე მის სახეს ფარავდა, მამაპაპური ზანდუკიდან ამოიღებს საქორწინო ჩოხა-ახალოხს და ტანს დაიმშვენებს.

პირველ კითხვაზე, თუ ვისთან უნდა მისულიყო განახლებული ცხოვრებით — გვადიმ მარიამის სახელი წარმოთქვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა. ვინ არის მარიამი? სახე კეთილშობილი, მშრომელი, პატიოსანი ადამიანისა. გვადიმ გააშიშვლა არჩილ ფორიას ნამდვილი სახე და ამის შემდეგ ჭეშმარიტ ადამიანად იქცა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს სამამულო ომის თემა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მთისკაცი".

ყუბანის ვრცელი ველებიდან პირდაპირ მოადგნენ გერმანელი ფაშისტური ურდოები კავკასიის მთებს, საქართველოს საზღვარს. უდიდესი საფრთხე აღიმართა ქართველი ხალხისა და მთელი ამირკავკასიის ხალხთა წინაშე. ამ მომენტიდან იწყება ლეო ქიაჩელის რომანი „მთისკაცი". მთავარი პერსონაჟი ჯოტოს მამაა, მთელ მხარეში განთქმული მთის კაცი. მთისკაცის შინაგანძა მძაფრმა სურვილმა, რომ რაც შეიძლება უკეთესად ეძია შური ჯოტოსა და მანუჩარის დაღუპვისათვის, რაღაც უძლეველ ძალად აქცია ჭარმაგი მთისკაცი და ჭაბუკს დამსგავსა.

დიდებულია ფინალი: „მთისკაცი პირადმა იწვა ძირფესვიანად ამოთხრილი, ტყვიით გასხეპილი და ცეცხლით შერუჯული. მზე დასდგომოდა პირსასვეზე. ლოდივით სხმული მისი ნაკვთები გამოეჩინა... უცეკ თვალებში ნათელი სხივი გაუჩრა.. ჩუმი და ფრთხილი ოხვრა აღმოხდა; ეს იყო უკანასკნელი მისი ამოსუთქვაც".

ლეო ქიაჩელმა რომანში გვაჩვენა ადამიანები, რომლებმაც გმირულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

უკანასკნელად გვინდა შევეხოთ ლეო ქიაჩელის ნოველებს.

ლეო ქიაჩელის ნოველა, რომელსაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება აქვს და ამავე დროს სოციალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს— გახლავთ „თავადის ქალი მაია". ლეო ქიაჩელმა ამ ნოველაში, ნათელი ხილვით წარმოგვიასახა ადამიანი, რომელმაც სიკვდილით გამოისყიდა სოციალური წრის ჩადენილი ცოდვები.

ნოველა დიდი ექსპრესიით არის დაწერილი. ამავე დროს მასში მოჩანს შთამაგონებელი რეალისტური ალღო და ზომიერების გრძნობა.

მეორე ნოველა, რომელიც მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, გახლავთ „წუთისოფელი". მასში ოჯახური ტკივილებია წარმოსახული.

მხატვრული ენა უძლიერესი იარაღია ადამიანის სულიერი ცხოვრების, პერსონაჟის ხასიათის სრულყოფილი გამოსახვისათვის. მხატვრული ენა აძლევს რეალურად არსებობის უფლებას ყოველ ნაწარმოებს. ნოვატორი მხოლოდ ის არის, რომელიც მთელი თავისი არსებით ჩაძირულია ეროვნული ენის სტიქიაში. ენის სტიქიას შეუძლია მხოლოდ ამაღლებულისა და მშვენიერის შექმნა.

პერსონაჟები აბსტრაქტული იდეების სფეროში კი არ არიან ნამდვილნი, არამედ რეალური ცხოვრების სფეროში. ამიტომ ოსტატის ღირსების საზომად რეალიზმის, ცხოველმყოფელი ბუნება უნდა ვიქციოთ. ადამიანში ადამიანის ძიება არის უმაღლესი იდეალი სიტყვის ოსტატისა.

ლეო ქიაჩელმა ბრწყინვალედ იცოდა თავისი დიდი მოვალეობა როგორც მხატვრული ენის სტიქიაში, იყო პერსონაჟების სულიერი ცხოვრების წარმოსახვაში.

90 წელი შესრულდა ჩვენი დროის კლასიკოსის ლეო ქიაჩელის დაბადებიდან, მისი გარდაცვალების დღეს კი მხოლოდ ათიოდე წელი გადაშორებს. ლეო ქიაჩელის სახელი მარადიული იქნება ჩვენი ხალხის გულში, ხოლო მისი დიდი შემოქმედება მარად დარჩება როგორც საბჭოთა ეპოქის მართალი მატიანე.

დ. ბენაშვილი.

ბაქოს დიდი ეკრანი

VII საკავშირო კინოფესტივალზე

აზერბაიჯანის მიწაზე გაზაფხულა მოპყვა კინემატოგრაფიის ფერადოვანი დღესასწაული. ბაქოში საბჭოთა კინოს აღლუმია. აქ, კასპიის ზღვის ნაპირზე აღმართულ დიდებულ სასტუმრო „აზერბაიჯანში", მთელი ჩვენი ქვეყნის კინოვარსკვლავთა ელიტა შეკრებილა.

აქ არიან სახელგანთქმული მსახიობები, რეჟისორები, ოპერატორები, რომელთა პროფესიულ ოსტატობას არაერთხელ აღტაცებაში მოუყვანია მილიონობით მაყურებელი ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში.

ამ დიდ საკავშირო ფორუმზე საქმიანი და მეღელვარე ატმოსფერო სუფევს.

მეშვიდე კინოფესტივალი ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა. 12 აპრილს ვ. ი. ლენინის სახელობის სასახლეში. ფანფარებმა გვაუწყეს კინოფესტივალის დასაწყისი.

მეშვიდე საკავშირო ფესტივალისადმი მიძღვნილ საზეიმო ხხდომას ხსნის აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. იბრაგიმოვი. მან თქვა: დღეს ჩვენი რესპუბლიკა და მისი დედაქალაქი ბაქო, ცნობილი თავისი დიდი რევოლუციური წარსულით, ინტერნაციონალური და შრომითი ტრადიციებით, ხელგაშლილი ეგებება მეშვიდე საკავშირო კინოფესტივალის სტუმრებს. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დავალებით ნება მიბოძეთ მხურვალედ მოგესალმოთ საბჭოთა კინემატოგრაფიის სახელოვან წარმომადგენლებს.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კინოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე თ. ერმაში, საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი ა. ბატალოვი და სხვები.

პირველ დღეს ფესტივალზე ნაჩვენები იქნა ფილმები „ლამეულები" (ლიტვის კინოსტუდია), „ივან ვასილიევიჩი პროფესიას იცვლის" (მოსფილმი), „არასწორი გადაწყვეტილება" (არმენფილმი), „ხაფანგები" (გორკის სახელობის კინოსტუდია).

მაშ ასე. 19 აპრილამდე მრავალეროვნული საბჭოთა კინემატოგრაფიის დროებითი დედაქალაქი ბაქო დიდი დღესასწაულის ასპარეზია.

ნ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ქ. ბაქო.

□

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ჰაბანერა. (საკ. კორ). აკ. წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი". სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა ს. ყიფშიძემ, მხატვრულად გააფორმა ო. მელაძემ, მუსიკალურად — საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ხატელიშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობს მთელი დასი.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩებზე

ბ. სპასკი — ა. კარპოვი 1:0

ბანმოკლე ავადმყოფობის — გაციების შემდეგ კარპოვი საჭადრაკო დაფას მიუჯდა, როგორც ყოველთვის, მან თამაში მეფის პაიკით დაიწყო.

გათამაშდა სიცილიური დაცვის ე. წ. შევენინგენის ვარიანტი, რომელსაც კარგად იცნობს ორივე მეტოქე. სპასკმ აირჩია სისტემა, რომლის ჩინებულ მცოდნედაც ითვლება მისი მწვრთნელი გროსმაისტერი ბონდარევსკი. თავდადგენე იგრძნობოდა მეტოქეების ოკომპრომისო განწყობილება. შუა თამაშში კარპოვმა ტაქტიკური ოპერაცია განახორციელა — ორი მსუბუქი ფიგურა მოიგო ეტლსა და პაიკში. მაგრამ თუ ჩვეულებრივ ვითარებაში ეს თვალსაჩინო მოწევაც იქნებოდა, ამჯერად სპასკის უფრო ღრმად შეაფასა პოზიცია. მცირე მატერიალური დანაკლისის მიუხედავად ინიციატივა მთლიანად მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მხარეზე აღმოჩნდა. კარპოვის ფიგურების ურთიერთქმედება დაირღვა.

მწვავე იერიშების შემდეგ პარტია გადაიდო. სპასკის ლაზერი, ორი ეტლი და ოთხი პაიკი აქვს თეთრების ლაზერის, ეტლის, მხედრის, კუსა და ორი პაიკის წინააღმდეგ. ამასთან სპასკიმ ლაზერის ფრთაზე ორი ძლიერი გამსვლელი პაიკი ამოძრავა.

გუშინ გადადებულ პარტიაში გაიმარჯვა ბ. სპასკიმ.

3. კორჩნოი — ტ. პეტროსიანი 1:0

ლეგიონი — ინგლისური დასაწყისი მოულოდნელი არ ყოფილა. მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კორჩნოის სადებიუტო რეპერტუარში და პეტროსიანთანაც არაერთგზის გამოუყენებია.

სამაგიეროდ, მოულოდნელი აღმოჩნდა ფიგურების განლაგების სქემა. რომელიც ლენინგრადელმა გროსმაისტერმა გამოიყენა. სადებიუტო პრობლემა მან კონკრეტულად გადაწყვიტა — მეტოქეს თავიდანვე დაუთმო ორი კუს უპირატესობა, რასაც შექმნილ პოზიციაში რაიმე გაჩვეული ღირებულება არ შეიძლებოდა ჰქონოდა. პირიქით, კორჩნოის ორი მხედარი ფრიად აქტიურად იყო განლაგებული. მალე ლენინგრადელმა პაიკიც მოიგო და მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას.

შუა თამაშში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა შეძლო მატერიალური წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მისი პოზიცია ამით სრულიადაც არ შემსუბუქებულა. კორჩნოიმ წამოიწყო ძლიერი იერიში და 36-ე სვლაზე დაამამათა შავების მეფე.

გ. გამრეკელი.

მხატვარი რეალისტი

ლეო ქიაჩელის დაბადების 90 წლისთავი

ყრდენი იყო ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას" ხასიათებსა.

ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არა მარტო ანარეკლი უნდა იყოს რეალური ცხოვრებისა, არამედ მისი გარდაქმნის საშუალებაც. ამ თვალსაზრისით უნდა იყოს განანალიზებული ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა". ამ ნაწარმოების ნიღბები არასოდეს არ ჩერდება მიღწეულ დონეზე და პერმანენტულად აგრძელებს განვითარების პროცესს. სოციალისტურმა სინამდვილემ ნიღბები გარდაქმნა ადამიანებად.

გვადი პირველად თავის ცხოვრებაში შეგოიძარცვაულ ძონძებს, რომელიც დღემდე მის სახეს ფარავდა, მამაპაპური ზანდუკიდან ამოიღებს საქორწინო ჩოხა-ახალოხს და ტანს დაიმშვენებს.

პირველ კითხვაზე, თუ ვისთან უნდა მისულიყო განახლებული ცხოვრებით — გვადიმ მარიამის სახელი წარმოთქვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა. ვინ არის მარიამი? სახე კეთილშობილი, მშრომელი, პატიოსანი ადამიანისა. გვადიმ გააშიშვლა არჩილ ფორიას ნამდვილი სახე და ამის შემდეგ ჭეშმარიტ ადამიანად იქცა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს სამამულო ომის თემა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მთისკაცი".

ყუბანის ვრცელი ველებიდან პირდაპირ მოადგნენ გერმანელი ფაშისტური ურდოები კავკასიის მთებს, საქართველოს საზღვარს. უდიდესი საფრთხე აღიმართა ქართველი ხალხისა და მთელი ამირკავკასიის ხალხთა წინაშე. ამ მომენტიდან იწყება ლეო ქიაჩელის რომანი „მთისკაცი". მთავარი პერსონაჟი ჯოტოს მამაა, მთელ მხარეში განთქმული მთის კაცი. მთისკაცის შინაგანძა მძაფრმა სურვილმა, რომ რაც შეიძლება უკეთესად ეძია შური ჯოტოსა და მანუჩარის დაღუპვისათვის, რაღაც უძლეველ ძალად აქცია ჭარმაგი მთისკაცი და ჭაბუკს დამსგავსა.

დიდებულია ფინალი: „მთისკაცი პირადმა იწვა ძირფესვიანად ამოთხრილი, ტყვიით გასხეპილი და ცეცხლით შერუჯული. მზე დასდგომოდა პირსასვეზე. ლოდივით სხმული მისი ნაკვთები გამოეჩინა... უცეკ თვალებში ნათელი სხივი გაუჩრა.. ჩუმი და ფრთხილი ოხვრა აღმოხდა; ეს იყო უკანასკნელი მისი ამოსუთქვაც".

ლეო ქიაჩელმა რომანში გვაჩვენა ადამიანები, რომლებმაც გმირულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

უკანასკნელად გვინდა შევეხოთ ლეო ქიაჩელის ნოველებს.

ლეო ქიაჩელის ნოველა, რომელსაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება აქვს და ამავე დროს სოციალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს— გახლავთ „თავადის ქალი მაია". ლეო ქიაჩელმა ამ ნოველაში, ნათელი ხილვით წარმოგვიასახა ადამიანი, რომელმაც სიკვდილით გამოისყიდა სოციალური წრის ჩადენილი ცოდვები.

ნოველა დიდი ექსპრესიით არის დაწერილი. ამავე დროს მასში მოჩანს შთამაგონებელი რეალისტური ალღო და ზომიერების გრძნობა.

მეორე ნოველა, რომელიც მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, გახლავთ „წუთისოფელი". მასში ოჯახური ტკივილებია წარმოსახული.

მხატვრული ენა უძლიერესი იარაღია ადამიანის სულიერი ცხოვრების, პერსონაჟის ხასიათის სრულყოფილი გამოსახვისათვის. მხატვრული ენა აძლევს რეალურად არსებობის უფლებას ყოველ ნაწარმოებს. ნოვატორი მხოლოდ ის არის, რომელიც მთელი თავისი არსებით ჩაძირულია ეროვნული ენის სტიქიაში. ენის სტიქიას შეუძლია მხოლოდ ამაღლებულისა და მშვენიერის შექმნა.

პერსონაჟები აბსტრაქტული იდეების სფეროში კი არ არიან ნამდვილნი, არამედ რეალური ცხოვრების სფეროში. ამიტომ ოსტატის ღირსების საზომად რეალიზმის, ცხოველმყოფელი ბუნება უნდა ვიქციოთ. ადამიანში ადამიანის ძიება არის უმაღლესი იდეალი სიტყვის ოსტატისა.

ლეო ქიაჩელმა ბრწყინვალედ იცოდა თავისი დიდი მოვალეობა როგორც მხატვრული ენის სტიქიაში, იყო პერსონაჟების სულიერი ცხოვრების წარმოსახვაში.

90 წელი შესრულდა ჩვენი დროის კლასიკოსის ლეო ქიაჩელის დაბადებიდან, მისი გარდაცვალების დღეს კი მხოლოდ ათიოდე წელი გადაშორებს. ლეო ქიაჩელის სახელი მარადიული იქნება ჩვენი ხალხის გულში, ხოლო მისი დიდი შემოქმედება მარად დარჩება როგორც საბჭოთა ეპოქის მართალი მატიანე.

დ. ბენაშვილი.

მწერლის ხსოვნის საღამო

ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლეო ქიაჩელის მხატვრული ტალანტის მრავალი თაყვანისმცემელი შეიკრიბა 12 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში. აქ გაიმართა მწერლის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ.

დამსწრეთ საინტერესო მოგონებები გაუზიარეს მწერლებმა სერგო კლდიაშვილმა, გიორგი ნატროშვილმა, დიმნა შენგელაიამ, კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა, კინორეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სიკო დოლიძემ.

კრიტიკოსებმა ბესარიონ ჟღენტმა და სარგის ცაიშვილმა ილაპარაკეს ლეო ქიაჩელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, საბჭოთა მწერლობის განვითარებაში მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე, ხოლო პროფესორმა ვალერიან მაჭარაძემ — მწერლის ნაწარმოებთა რუმინულ თარგმანებზე.

დასასრულ გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

გ. ჭკადუა.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე
ვ. სანაია — „თოლიები".

როცა საჭეს უზიხარ

ვიდრე მანქანას ადგილიდან დასძრავდეთ...

საჭესთან მოხერხებულ ჯდომას დიდი მნიშვნელობა აქვს შოფრისათვის. მანქანის დაძვრამდე დასაჯდომი ისეთი ზომაზე უნდა დაადგინოთ, რომ საჭის რაც უნდა შორეულ წერტილებს ეხებოდეთ, მკლავები ოდნავ მაინც გქონდეთ მოხრილი, ხოლო ფეხებით თავისუფლად სწვდებოდეთ პედალებს. თუ პედალების მართვა გიჭირთ, სჯობს წინ წასწიოთ დასაჯდომი, თუნდაც ამან მკლავების ზედმეტი მოხრა გამოიწვიოს.

საჭეს მუდამ ორი ხელით უნდა მართავდეთ. ხანგამოშვებით შეგიძლიათ მოაცილოთ მარჯვენა — ხელსაწყოების ჩასართავ-გამოსართავად.

იკითხავთ, როგორ დავრწმუნდეთ, სწორად გეჭირავს თუ არა საჭე? თუ წარმოიდგენთ, რომ საჭე დიდი საათია, მაშინ მარცხენა ხელი უნდა გეჭიროთ ციფერბლატის 9 და 10, ხოლო მარჯვენა — 2 და 3 საათებს შორის. ამ დროს ნეიტრალურ მდგომარეობაში მყოფი საჭის მთავარი მანა 6 საათთან უნდა იდგეს. სულაც არ არის საჭირო ხელების მაგრად მოჭერა. ყველაზე უფრო მოსახერხებელია მართვა, როცა ხელი საჭეზე ისე გიდევთ, თითქოს მტევანი ცერზე კიდიაო. ხელების ასეთი განლაგება საშუალებას გაძლევთ საჭე ორივე მხრივ სწრაფად მიაბრუნ-მოაბრუნოთ ყველაზე დიდი კუთხით და უკეთესად ადევნოთ თვალი საზომ ხელსაწყოებს. საჭეზე ხელების ყოველთვის ერთ მდგომარეობაში ყოფნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოცურების საშიშროების დროს (ყინულზე, ნაწვიმარზე).

თუ დაიღლებით, ოდნავ წინ წაიხარეთ და ხელები საჭეზე ისე გეჭიროთ, როგორც ისრებია — 12 საათის დროს.

ზოგს ჩვეულად აქვს საჭის აჭიანქით უმიზნო ტრიალი, როცა მანქანა სწორ, პირდაპირ ტრასაზე მიაყავს. ეს კი შეცდომაა, რომელმაც შეიძლება ზიანიც მოიტანოს, თუ გზა მოლიპულია. ასე რომ საჭირო გამოიმუშაოთ ჩვეული — საჭე მხოლოდ მაშინ აბრუნოთ, როცა აუცილებელია.

თქვენი ხელით გაკეთებული

კლემები რომ არ დაიჟანგოს...

აკუმულატორის კლემები ისე იჭირხლება ხოლმე, როგორც დაშაქრული ჩორჩხელა, რაც ეუარესებს ელექტროკონტაქტებს. ამას იწვევს ელექტროლიტის აორთქლება, რომელიც აკუმულატორში ასხია. ამიტომ კლემებს მოვლა უნდა. მათი დაჟანგვის თავიდან აცილება უბრალოდ შეიძლება — დაახლოებით 2 მილიმეტრის სისქის თხელი ქეჩიდან გამოსქერით ორი პატარა საყელური, კლემებს ჩამოაცვით და შემდეგ მომჭერებით დაამაგრეთ. კლემები აღარ დაიჟანგება.

ნიჯხლე

პედალების საკეტი

„ვოლგის", აგრეთვე „მოსკვიჩისა" და „ეიგულისათვის" შეიქმნა მუხრუჭისა და გადამრთველის პედალების საკეტი მოწყობილობა, რომელიც ავტომობილების მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლის კარგი საშუალებაა. მათ დამზადებას შეუდგა მოსკოვის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხანა და მალე მიიღებენ მომხმარებლები. მარტო წლიულს გამოშვებული იქნება 30 ათასი ცალი ასეთი საკეტი.

ავტოსაქონელი

გარაჟი

ვინ მოთვლის, ჯერ კიდევ რამდენი მფლობელის ავტომანქანა დარჩენილი „უსახლკაროდ", ცის ქვეშ. სწორედ მათთვის ამზადებს ლითონის მოხერხებულ გარაჟებს სამამულო წარმოების მუსუბუქი მანქანების — „ვოლგის", „მოსკვიჩის", „ეიგულის", „ზაპოროჟეცის" — თავშესაფრად დროებიჩის საავტომობილო ამწეების ქარხანა.

ეს არის სწორკუთხა ფორმის შენობა სახურავით, ორმხრივი კარებით, რომელშიც ჩამონტაჟებულია ლითონის დეტალები.

გარაჟის ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება დაიჟანგოს, კოროზიისგან დასაცავად შეღებილია.

ქარხანა კისრულობს გარაჟის დამონტაჟებიდან წელიწადნახევრის განმავლობაში აუნაზღაურებლად მეცვალოს ან შეაკეთოს გარაჟი, რომელიც მწყობრიდან გამოვა, იმ პირობით, თუ მომხმარებელს დაცული იქნება ტრანსპორტირებისა და ექსპლოატაციის წესები.

გარაჟის ფასია 350 მანეთი.

ტელევიზიის საინფორმაციო ცენტრი

პირველი პროგრამით

□ 15 აპრილი

16.25 — სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.25 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ფინეთიდან). 19.45 — კინომარკეტი, 20.00 — რუსბუნოკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 20.20 — „დიდების გვირგვინი", 20.45 — „მსოფლიო დღეს", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, „მღერის ვორდელა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ტელევიზიის „სპექტაკლი „თავსაფრიანი დედაკაცი" — პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 23.15 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ფინეთიდან II-III პერიოდი).

□ 16 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),

10.30 — კინოპროგრამა, 11.05 — სკოლების დასასმარებლად —ფიზიკა (VI კლასელთათვის. ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნა), 11.30 — ფერადი ტელევიზია. ა. პახმუტოვას სიმღერების ციკლი. „გაგარინის თანავარსკვლავედი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ბედნიერი ქარიყლაპიას მეთაური", 16.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქართულ ენაში, 17.35 — ბიოლოგიაში, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „პროპაგანდისტთა დასახმარებლად", 19.00 — „სპორტული მიმოხილვა", 19.15 — „დღეს უკეთ — ვიდრე გუშინ", 19.35 — თქვენი თხოვნით, მეგობრებო. ქართული მხატვრული ფილმი „ყვავილი თოვლზე", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი, 23.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ფინეთიდან) II-III პერიოდი.

□ 17 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კიბორკვევი, 10.50— მხატვრული ფილმი „გასალეპი", 12.15 — სრულიად საკავშირო ალეკ XVII ყოილობის ძეგანგვედოად — „ჩვენი თანამედროვე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.35 — სატელევიზიო ფილმი, 17.05 — კიბორკვევი, 17.20 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.30 — მოსწავლეთათვის — „ქუჩა სავსეა მოულოდნელობით", 19.00 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად", 19.20 — „მრომისა და სიმღერის ადამიანები", 20.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. — „ბუნების ალბომი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 18 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — „როგორ ხატავენ ზღაპარს", 11.15 — კინოპროგრამა, 12.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „სამხედრო გზის მემკვიდრეები", 16.15 — „მშობლიურ მხარეში" — საქართველოს სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექციები— ქიმიაში, 17.30 — სსრკ ისტორიაში, 18.15 — კიბორკვევი, 18.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.55 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში — საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები, (გადმოცემა ფინეთიდან), 21.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — „არჩევნების შესასვლელად", 22.00— „ვრემია", — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები", 23.00 — ახალი ამბები.

□ 19 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „საბჭოთა ხასიათი" — სატელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მინსკიდან), 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი ვარსკვლავთ ფერი", 12.05 — კინოპროგრამა, 12.40 — „სრულიად საკავშირო ალეკ XVII ყოილობის შესახვედრად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.25 — სატელევიზიო ფილმი, 16.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 19.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა", 18.40 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები", 19.10 — კოპენჰაგენის ყოილობის შესახვედრად, 19.30 — უმაღლესი სასამართლოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა — სტუდიაში — საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ნ. ბერნინი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „პატრიოტიზმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ", „პატრიოული ცხოვრება", 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — „ნატო ვაჩნაძე და კინოსატიანე", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — უნგრული ხალხური მუსიკა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „საღამოს შეხვედრები", 23.30 — ახალი ამბები.

□ 20 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ოჯახიერ ერთად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ეევიანსწავლ